ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №36

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ადიგენი

16 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (მის.: დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ.№5, ს/კ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მხრივ ინდ. მეწარმე „სიმური თარხნიშვილი" (მის: ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქ.№1, ს/კ 47001035687, ა/ა GE94LB0112141480007000, ს.ს „ლიბერთი ბანკის", ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი სიმური თარხნიშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის სახსრებით მოსაწვევი ბარათების შესყიდვა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

1.2 კლასიფიკატორის კოდი - 22320000;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება გამოისახება ლარებში და შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს.

3. შესასყიდი საქონლის ხარისხი

3.1 შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება იწარმოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 19 მარტამდე

4.2 მიწოდების ადგილია, დ. ადიგენის თამარ მეფის ქ.№5, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია.

5. საქონლის მიღება -ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ სათანადოდ შედგენილი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

6.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ სათანადო დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადების) საფუძველზე გაკეთებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში 4.2. პუნქტში მითითებულ მისამართზე წარმოდგენილი ფასების ცხრილის შესაბამისად.

7.2 „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი პასუხისმგებლობის შესაბამისად.

8.1. ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების 0,5 %-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში თუ დავალიანების თანხა მიაღწევს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიულლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეებს შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერ-მოლაპარაკების საშუალებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით.

10.2. მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.ინსპექტირების პირობები.

11.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და ვარგისიანობა. დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მოთხოვოს ,,მიმწოდებელს" წუნდებული საქონლის გამოცვლა და ზარალის ანაზღაურება.

11.2 ,,შემსყიდველის'' მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის-სამსახურის უფროსის მ/შ ზურაბ ბეთხოშვილი:

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით;

12.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“:

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია;
მის: თამარ მეფის ქ.№5;
ს/კ 222729162, ა/ა GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;

მუნიციპალიტეტის მერი: /ბ. ეზდელაძე/

„მიმწოდებელი“:

ინდ. მეწარმე „სიმური თარხნიშვილი''
ს/კ 47001035687 , ა/ა GE94LB0112141480007000,
ს.ს „ ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი LBRTGE22

ი.მ: ბ. თარხნიშვილი

შესყიდვის ობიექტი

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	განზომილ ების ერთეული	რაოდენ ობა	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	ერთეულ ის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	მოსაწვევი ბარათები	ცალი	10	საქართველო	სიმური თარხნიშვილი	1,5	15
				სულ ჯამი			15

ს. თარხნიშვილი

ი.მ: ს. თარხნიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ. ადიგენი

16 მარტი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში ,,შემსყიდველი'' მხარის წარმომადგენელები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 16 მარტს გაფორმებული 36 ხელშეკრულებაში ინდ.მეწარმე ,,სიმური თარხნიშვილთან'' მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუნიციპალიტეტის მერი

ზაქარია ენდელაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერისს კულტურის, განათლების სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:

ზურაბ ბეთხოშვილი